საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
N 38211

1. სახელწოდება

ციხისძირის ყოფილი ავტობუსის გაჩერება

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	საქართველო; მცხეთა-მთიანეთი; დუშეთი; ციხისძირი
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	

მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	+
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	+
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	19/05/2021
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
დოკუმენტის #	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	02/41
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის #	თავდაპირველი	

დოკუმენტის #	ამჟამინდელი	
რეესტრის #	7912	
რეესტრში შეტანის თარიღი	28/05/2021	

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

ახალი და უახლესი ისტორია _ მე-19-21-ე სს.>>უახლესი ისტორია _ მე-20-21-ე სს,1980-იანი წლები

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
რელიგიური		
სათავდაცვო		
საერო	საგზაო, სატრანსპორტო;	ფუნქციის გარეშე;

7. საკუთრება (მესაკუთრე/ მესაკუთრეები)

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მდებარე (GPS: X- 42.19168; Y- 44.67662; H- 870 მ.), მოზაიკური პანოთი გაფორმებული ავტობუსის გაჩერება შესრულებულია 1980-იან წლებში, არქიტექტორ გიორგი ჩახავას და მხატვარ ზურაბ კაპანაძის ავტორობით. ავტობუსის გაჩერების ტეხილი გეგმარების კედელი (სიმაღლე- 3, 65 მ., სიგრძე - 27,70 მ., სისქე- 55 სმ.) აგებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით შეკავშირებული, ჰორიზონტალურად და ირიბად დალაგებული რიყის ქვის რეგისტრების მონაცვლეობით შექმნილი წყობით. ზოგ ადგილებში (კუთხეებში, კიდეებში და სხვ.) ჩართულია ბეტონის ბლოკები. კედლის შვეული კიდეები რიყის ქვის უსისტემო წყობით ამოყვანილი ნახევარცილინდრული, მომრგვალებული ფორმებით ხასიათდება. კედელს მთელ სიგრძეზე (კედლის სისქის შესაბამისად) მიუყვება კრამიტის გადახურვა. კედლის წინ, გზის გასწვრივ მცირედშემაღლებული ბაქანი (დაახლ 5 მ. სიგანის) გასდევს მთელ სიგრძეზე. ავტობუსის გაჩერების კუთხის მონაკვეთი მოქცეულია (სავარაუდოდ მოგვიანო პერიოდში აღმართულ) ლითონის ბოძებზე დაფუძნებულ და ხის ნივნივებზე გამართულ თუნუქის ცალქანობიან სახურავში. აღნიშნული კედლის გზისკენ მოქცეული ფასადის დაახლ. 2, 85 მ. სიმაღლის და 27, 70 მ. სიგრძის მონაკვეთი დაფარულია კერამიკული სმალტისაგან დამზადებული ტიხრული ტექნიკით შესრულებული, 57X64 სმ. ზომის მოზაიკური ფილებით, სადაც გამოიყოფა მონუმენტური პანოს სამი, დამოუკიდებელი მხატვრული კომპოზიცია. ამათგან, ორი მასშტაბური კომპოზიცია განთავსებულია გზის პარალელურად განვითარებულ კედლებზე, რომლებიც ტრასიდან ფრონტალურად მოჩანს, ხოლო მათ შორის მოქცეული პერპენდიკულარული კედლის კომპოზიცია რაკურსით აღიქმება. ტრასის მხრიდან აღქმული კედლის მარცხენა, 2,85X6,50 მ. ზომის მონაკვეთის ზედაპირზე მოყვითალო, ნეიტრალურ ფონზე წარმოდგენილია მოყავისფრო-მოშავო ტონალობაში შესრულებული დედაბოძის დეკორატიული გამოსახულება- მასიური ტანით და ორმხრივგანშტოებული ტალღოვანი მკლავებით. ტანი შემკულია ორ რეგისტრად განლაგებული, სტილიზებული ვაზის და გასხივოსნებულ წრეში ჩაწერილი ბორჯღალის

მოტივებით. მკლავების ზედა კიდეებს მიუყვება ოთხ-ოთხი, რქოსანი პირუტყვის თავის გამოსახულება. მხატვრული კომპოზიციის სიმეტრიის ღერძზე მოცემული დედაბოძი ორივე მხრიდან ფლანკირებულია ჰერალდიკური კომპოზიციებით, სადაც ცალკეული გამოსახულების ქვედა რეგისტრში ვხვდებით მოშინდისფრო-მოყავისფრო ტონალობაში გადაწყვეტილ ლომის/ვეფხვის თითო ფიგურას, ხოლო, თითოეული ცხოველის ტანს ზემოთ მოცემულია ,,ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმი- დედაბოძის გამოსახულებიდან მარჯვენა მხარეს ქართულად (ნაკლული სახით შემორჩენილი): ,,[ხამს მოყ]ვარე [მოყვრ]ისათვის [თავი] ჭირსა არდამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“, მარცხნივ კი რუსულად: ,,Другу верным друг поможет, не страшит его беда. Сердце он отдаст за сердце, и любовь в пути звезда“. თითოეული წარწერა მოქცეულია სარკისებრი სიმეტრიის პრინციპზე განლაგებულ, ორ-ორ სტილიზებულ ფარშევანგს შორის. აღწერილ კომპოზიციას აჩარჩოებს სხვადასხვა ფერის (ცისფერი, ნარინჯისფერი, წითელი, შავი, თეთრი) გეომეტრიული მოტივებით (რომბები, სამკუთხედები, წრეები) შედგენილი ფართო არშია.
გზის პერპენდიკულარული კედლის 2,85X3,40 მ. ზომის მონაკვეთზე მოცემულია ცხრა აბზინდის/ბალთის გამოსახულება. მოყვითალო ფონზე აქცენტირებულია მოყავისფრო-შავ ტონებში შესრულებული, სამ რეგისტრად განლაგებული სწორკუთხა მოხაზულობის სამ-სამი ჩარჩო. ყოველ მათგანში მოქცეულია ქართული ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებიდან აღებული თითო-თითო ზოომორფული და მცენარეული მოტივების სტილიზებული გამოსახულება. მომიჯნავე ჩარჩოები (,,აბზინდა-ბალთები“) ერთმანეთთან დაკავშირებულია დეკორატიული ,,ანჯამებით“.
მესამე, სიუჟეტური კომპოზიცია, აღწერილ ორთან შედარებით უფრო მასშტაბურია და განლაგებულია კედლის 2,85X17,80 მ. მონაკვეთზე. მხატვრული კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია სტილიზებული ვაზის გამოსახულება- გადაჯვარედინებული ღეროებით და ორმხრივგანშტოებული ხვეული ლერწებით, ზედ გამობმული წყვილი ყურძნის მტევნებით და ფოთლებით. აქვე გამოსახულია განშტოებულ ლერწებზე ,,მჯგომარე“ ზურგისკენ თავმიბრუნებული ფარშევანგის თითო ფიგურა. ვაზის ზემოთ წარმოდგენილია გასხივოსნებული მზის დისკო, ცენტრში ჩაწერილი რკალისებრფრთიანი ბორჯღლის გამოსახულებით. სტილიზებული ვაზის და მზის მოტივები ორივე მხრიდან (მარჯვნივ და მარცხნივ) ფლანკირებულია სამ-სამი ცხენოსანი მხედრის ფიგურული გამოსახულებით. ისინი ერთმანეთის მსგავსი მხატვრული გადაწყვეტით ხასიათდებიან (მოშინდისფრო-მოყავისფრო ცხენის ფიგურები; ცისფერ ტანისამოსში გამოწყობილი, გაფრიალებული მოსასხამით, შავ წვერ-ულვაშიანი და გრძელთმიანი მხედრები), ხოლო, განსხვავებულია მათი მოძრაობა, ჟესტები და ატრიბუტები. სიუჟეტური კომპოზიციის მარჯვენა მონაკვეთში, რბოლის მომენტში გამოსახული ცხენები ზურგისკენ თავმიბრუნებულია. მხედრებსაც თავი მიბრუნებული აქვთ უკან, მარცხენა ხელით ცხენის აღვირი მოუზიდავთ, ხოლო მარჯვენაში რქისებრი მოყვანილობის საყვირი უჭირავთ, რომლის ბოლო ჩასაბერად აქვთ პირთან მიტანილი. მარცხენა მონაკვეთის მხედრებისა და ცხენების თავები მიმართულია წინ, ხოლო მხედრებს, ზემოთ აღმართულ მარჯვენაში ფიალები უჭირავთ. ცხენების ფლოქვებს შორის წარმოდგენილია ორ სტილიზებულ ფოთოლს შორის მოქცეული ყურძნის მტევნის სქემატური გამოსახულება. მხედრების თავსზემოთ მიუყვება გარკვეული ინტერვალით და მონაცვლეობით განლაგებული სტილიზებული მტრედებისა და ვარსკვლავების გამოსახულებები. საერთო კომპოზიციაში ასევე ჩართულია მცირე ზომის, კონცენტრული წრეების დეკორატიული მოტივები. აღწერილ კომპოზიციას, პირველის მსგავსად, აჩარჩოებს გეომეტრიული მოტივებით შედგენილი ფართო არშია.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება

ცუდი

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

მოზაიკური პანო დაზიანებულია, აკლია (ჩამოვარდნილია ან დაკარგული) 28 ფილა (აქედან ადგილზეა 8 ფილა: 5 მათგანი განთავსებულია კედლის უკან, 3- კედლის წინ).

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები:

ობიექტი საჭიროებს გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას.

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი	/
უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა	
უახლესი და საარქივო ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივო წყაროები	

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. დამატებითი ინფორმაცია

GPS: X- 42.19168; Y- 44.67662; H- 870 მ. X კოორდინატი: 42.19167818; Y კოორდინატი: 44.67660853; სწორია

13. ბარათის შემდგენელი

აკაკი რეხვიაშვილი, სალომე გოგოლაური

14. ბარათის შედგენის თარიღი

2020-03-12